ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 98

ქ. ხობი

13 სექტემბერი 2018 წ

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი (შემდგომში ,,შემსყიდველი"), მისამართი: ქ. ხობი, ც. დადიანის ქ. N187, საიდენტიფიკაციო კოდი: 444550479; საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022; საქართველოს ეროვნული ბანკი. ბანკის კოდი: BNLNGE22; შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის ცენტრის დირექტორის ბორისი ბერაიას სახით

და მეორეს მხრივ, შპს „გეგა პიქსელი" (შემდგომში „მიმწოდებელი") მისამართი: ქ. თბილისი, ცაბაძის ქ. #8; (სავაჭრო ცენტრი კიდობანი) საიდენტიფიკაციო კოდი: **404973640**; საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის ნომერი: **GE80BG0000000781857200**; ს.ს „საქარელოს ბანკი". მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მურმან ქვათაძეს სახით

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „რ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „მიმწოდებლის" მიერ:

1.1.1 აუდიო მაგნიტოფონი (მუსიკალური ცენტრი) - (მუსიკალური ინსტრუმენტები და ნაწილები - 37300000) სულ 1 ცალი * 450 ლარზე = 450 (ოთხას ორმოცდაათი ლარი) ლარი.

1.1.2 კლასიფიკატორის კოდი 37313000;

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს 450 (ოთხას ორმოცდაათი ლარი) ლარი.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. „მიმწოდებელი" ფაქტიურად გაწეული მომსახურების თაობაზე „შემსყიდველთან" ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს საგადასახადო დოკუმენტს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადით.

3.3. „მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 საბანკო დღის განმავლობაში.

4. მხარეთა უფლებები

4.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

4.1.1. სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში მოითხოვოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადახდა;

4.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

4.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებითა და ვადაში;

4.2.2. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. ,,მიმწოდებელი ვალდებულია”

5.1.1. დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

5.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

5.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

5.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

5.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

6.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, „შემსყიდველის“ საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სახვა.

6.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელსეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

7. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

7.1. თუ წინასწარი გაუთვალიწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

7.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. სადავო საკითხების გადაწყვეტა

8.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ;

8.2. თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ 30 დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო, მხარეები შეთანხმდებიან ელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

10. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

10.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი პირობებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების გამო დააკისროს პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.3%-ის ოდენობით;

10.2. „შემსყიდველი" უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი პირობებისა და ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში დააკისროს „მიმწოდებელს" პირგასამტეხლო ხელშეკრულების შეუსრულებელი ნაწილის ღირებულების 3%-ის ოდენობით.

10.3. საჯარიმო თანხების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების კონტროლი

11.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს :

1. „შემსყიდველი" ორგანიზაციის მხრიდან: ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის სპეციალისტები.

11.2. „შემსყიდველის“ ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი.

11.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით, გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს მის შრომით ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი“.

11.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულება შეწყვეტა განხორციელდება:

ა) მხარეთა შეთანხმებით;

ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

გ) ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

დ) ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

მუხლი 13. მომსახურების გაწევის ვადა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

13.2 ხელშეკრულება მოქმედებს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

13.3 ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისთანავე.

14. მხარეთა ხელმოწერები

„ შემსყიდველი“	„ მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი“ს	შპს „გეგაპიქსელი“
დირექტორი: ბორისი ბერაია	დირექტორი: მურმან ქავთაძე